

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ივანე ჯავახიშვილისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი



აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე
ბიბლიოგრაფია

ЛЕОНИД ДАВИДОВИЧ МЕЛИКАДЗЕ
БИБЛИОГРАФИЯ

LEONID MELIKADZE
BIBLIOGRAPHY

თბილისი - 2012

ბიბლიოგრაფიის შემდგენელები – *COMPILERS OF BIBLIOGRAPHY*

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი
ვლადიმერ ციციშვილი




პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიის გამგე,
ნათელა ხეცურიანი



პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე, მანანა ბურჯანაძე



პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამსრომელი,
ესმა უშარაული



შედეგები

ბიბლიოგრაფია ეძღვნება ცნობილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში ნავთობქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ლეონიდე მელიქაძის ნათელ ხსოვნას.

აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე ქიმიკოსთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთაც წილად ხვდათ საქართველოში იმ დიდი მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობის გაგრძელება და განვითარება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა უცხოეთში მოღვაწე და საქართველოში დაბრუნებულმა გამოჩენილმა ქართველმა ქიმიკოსებმა პეტრე მელიქიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა.

1947 წელს იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიას. აქედან იწყება მისი აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოს ნავთობების შესწავლის მიმართულებით.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში მოიპოვება თითქმის ყველა ტიპის, ქიმიური ბუნებით განსხვავებული, საუკეთესო ხარისხის, მაგრამ მცირედებიტიანი ნავთობები, რამაც ლ.მელიქაძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ნავთობებიდან სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მცირეტონაჟიანი ძვირფასი პროდუქტების და მასალების მიღება. საქართველოს ნავთობების ათვისების საკითხის ასეთ ასპექტში წარმოჩენამ გამოიწვია კვლევის ახალი გეზის და მეთოდების შერჩევის აუცილებლობა. ვინაიდან ლ.მელიქაძეს არ უყვარდა გატკეპნილი გზით სიარული, მან მთელი ყურადღება ნავთობის ურთულესი და ნაკლებად შეცნობილი მაღალმდულარე ნაწილის შესწავლას დაუთმო. ლ.მელიქაძის ინციატივით ნავთობების კვლევისათვის შემუშავებული და გამოყენებული იყო ახალი ფოტოქიმიური მეთოდები: ნავთობიდან და ნავთობპროდუქტებიდან მიკროელემენტების გამოყოფის, ფენანტრენული ნახშირწყალბადების მალეინის ანჰიდრიდთან კონდენსაციის და ნახშირწყალბადების გარდაქმნისა და ჟანგვითი რეაქციების კვლევისათვის. ახალი მეთოდების დანერგვამ საჭირო გახდა ლაბორატორიაში მოდელური ნაერთების სინთეზის ორგანიზება. გარკვეული დროის შემდეგ ნავთობის ლაბორატორია საბჭოთა კავშირში ინდივიდუალური პოლიციკლოარომატული ნახშირწყალბადების ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექციის მფლობელი გახდა.

ნავთობის მაღალმოლეკულური არომატული ნახშირწყალბადების კვლევის შედეგად ლ.მელიქაძემ პირველად გამოყო და დაადგინა ნავთობის ხილული ლუმინესცენციის გამაპირობებელი კომპონენტების ქიმიური ბუნება და თვისებები. შემდეგში, ნავთობის ლუმინესცირებადი ნაერთების საფუძველზე, მის მიერ შემუშავებული და მოწოდებული იქნა ახალი ეფექტური ლუმინოფორი “ნორილი” მანქანათა საპასუხიშვებლო ნაწილების დეფექტოსკოპიისათვის, რომელმაც ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვას ლ.მელიქაძე უდიდეს ყურადღებას უთმობდა. ასე მაგალითად, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ერთად მან შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა: ციტრუსოვანთა მავნებლების საწინააღმდეგო პრეპარატი “კეიმი”, ყურძნის ჭიისა და ტყის ზოგიერთი მავნებლის საწინააღმდეგო პრეპარატი “კრზ”, ნაძვის დიდი ლაფანჭამიის და ფიჭვის ღეროს ალურას წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალება პრეპარატი “პლკ”, რომლის შემწეობითაც ჩვენი საუკეთესო საკურორტო ტყეები გადაურჩა განადგურებას. სამრეწველო მეფრინველეობის საკვები ბაზის გაუმჯობესებისათვის ეფექტური აღმოჩნდა ლ.მელიქაძის მიერ შემუშავებული კომბინირებული საკვების მაღალკალორიული დანამატი.

აკად. ლეონიდე მელიქაძის ხელმძღვანელობით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ავტომობილების ძრავების კათედრასთან ერთად შეიქმნა სპეციალური დანიშნულების სუსპენზიული სატრანსმისიო ზეთები საინტერესო ანტიფრიქციული და ტრიბიმექანიკური თვისებებით და ა.შ.

ნაყოფიერ სამეცნიერო და აღმზრდელობით მუშაობასთან ერთად ლ.მელიქაძეს ფართო საქმიან კავშირებს ამყარებდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სამეცნიერო და სამრეწველო

ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან. მრავალი წლის განმავლობაში იგი იყო მთელი რიგი სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებისა და მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიების წევრი, სადაც ყოველთვის კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, აქტიურად მონაწილეობდა ყველა ღონისძიებაში.

წიგნში, ბიოგრაფიულ და ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, შესულია იმ ადამიანების - მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეების, მეგობრების და მოწაფეების - მოგონებები, რომლებიც ახლოს იცნობდნენ ბატონ ლეონიდეს, აგრეთვე მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტომასალა.

От составителей

Библиография посвящается светлой памяти известного ученого, одного из основоположников нефтехимии в Грузии, заслуженного деятеля науки и техники, лауреата премии им. Петре Меликишвили, академика Леонида Давыдовича Меликадзе.

Академик Л.Д.Меликадзе является представителем поколения химиков, которому выпала честь продолжить и развить ту большую научную и организационную работу, фундамент которой был заложен выдающимся грузинским химиком Петром Меликишвили и его единомышленниками.

С 1947 г. Л.Д.Меликадзе возглавляет лабораторию химии нефти Института физической и органической химии им. П.Г.Меликишвили и с этой даты начинается его активная и плодотворная деятельность по изучению грузинских нефтей. В результате исследований было установлено наличие в Грузии отличающихся по химической природе, высококачественных, но малодебитных нефтей почти всех известных типов. Такое положение привело Л.Д.Меликадзе к выводу о целесообразности производства из этих нефтей важных для народного хозяйства малотоннажных, ценных продуктов и материалов. Постановка вопроса освоения грузинских нефтей в таком аспекте сделала необходимым выбор нового направления и новых методов исследования нефтей. Поскольку Л.Д.Меликадзе не любил следовать проторенным путем, все свое внимание он стал уделять наиболее сложной, и поэтому наименее изученной, высококипящей части нефти. По его инициативе для исследования нефтей были разработаны и использованы новые фотохимические методы: выделения микроэлементов из нефтей и нефтепродуктов, конденсации фенантроновых углеводородов с малеиновым ангидридом и изучения фотохимических превращений и окислительных реакций углеводородов. Внедрение новых методов сделало необходимым организацию в лаборатории работы по синтезу модельных соединений. Вскоре лаборатория химии нефти стала обладателем одной из наиболее богатых коллекций индивидуальных полициклоароматических углеводородов.

В результате исследования высокомолекулярных ароматических углеводородов Л.Д.Меликадзе удалось выделить и установить химическую природу и свойства веществ, обуславливающих видимую люминесценцию нефтей. В дальнейшем, на основе люминесцирующих соединений нефти он разработал и предложил к внедрению новый эффективный люминофор «Нориол» для дефектоскопии ответственных деталей машин, нашедший широкое практическое применение.

Следует отметить, что академик Л.Д.Меликадзе уделял большое внимание внедрению результатов исследований в народное хозяйство. Так, например, в творческом содружестве с институтом защиты растений он разработал и внедрил в практику препарат «КЭЙМ» против вредителей citrusовых, препарат «ПЛК» против большого елового лубоеда и сосновой стволовой огневки, спасший курортные хвойные леса Грузии, и препарат «КРХ» против вредителей леса, виноградников и плодовых насаждений. С точки зрения расширения кормовой базы промышленного птицеводства весьма эффективной оказалась разработанная Л.Д.Меликадзе высококалорийная добавка к комбикорму. Под руководством Л.Д.Меликадзе совместно с кафедрой автомобильных двигателей Грузинского политехнического института разработаны новые суспензионные масла с интересными антифрикционными и трибомеханическими свойствами и т.д.

Наряду с научной и воспитательной работой академик Л.Д.Меликадзе устанавливал широкие деловые связи с научными и производственными организациями и

государственными структурами Советского Союза и Грузии. В течение многих лет он являлся членом научных советов ряда научных и учебных институтов и чрезвычайных государственных комиссий, где добросовестно выполнял возложенные на него обязанности и активно участвовал во всех мероприятиях.

Наряду с биографическими и библиографическими данными, в книгу включены воспоминания о Л.Д.Меликадзе знавших его близко людей – деятелей науки и техники, друзей и учеников, а также фотоматериал, отображающий его жизнь и деятельность.

From compilers

This bibliography is dedicated to the bright memory of the great scientist, one of the founders of petrochemistry in Georgia, honored man of science and technique, laureate of Petre Melikishvili prize, Member of Georgian Academy of Sciences Leonid D. Melikadze.

L. Melikadze belongs to the generation of chemists who had an honor to continue and to develop the great scientific and organizational work, the foundation of which was laid down by eminent Georgian scientist Petre Melikishvili and his associates.

From 1947 L. Melikadze heads the laboratory of oil chemistry at Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry and starts his active and fruitful work in the sphere of investigation of Georgian oils. As a result of his scientific activity it was established that there are different by chemical nature, high-quality but low-yield oils of almost every known types in Georgia. This situation lead L. Melikadze to suggestion that it should be efficient to exploit these oils to produce low-tonnage, valuable products and materials that are important for the national economy. The exploitation of low-yield oils in this aspect necessitated the development of new direction and methods for investigation of oils. As L. Melikadze did not like to keep to the beaten track he gave principal attention to study of the most complex and hence least studied high-boiling portion of oil. On his initiative new photochemical methods for investigation of oils were developed and used for isolation of microelements from oils and oil products, for condensation of phenantrene hydrocarbons with maleic anhydride and to study of photochemical transformation and oxidation reactions of hydrocarbons. Introduction of new methods led to the necessity of organization of work on the synthesis of modeled compounds. Soon the laboratory of oil chemistry became an owner of the richest collection of individual polycycloaromatic hydrocarbons.

As a result of investigation of high-molecular aromatic hydrocarbons it became possible to isolate and define chemical nature and properties of compounds on which the visible fluorescence of oils depends. Subsequently on the basis of luminescent compounds L. Melikadze offered to use a new efficient luminophor “Noriol” for the luminescent detection of faults in machine and metal constructions. This luminophor found wide practical application.

It should be mentioned that L. Melikadze took particular care to implement the results of his researches into the national economy. For example, in collaboration with the Institute of Plant Protection an effective preparation “KEIM” for controlling of citrus plant pests, preparation “PLK” against European spruce bark-beetle and other Ipsidae species that saved the health resort forests of Georgia, and preparation “KRH” used against pests attacking forests, vineyards and orchards were developed and implemented. A high-calorie additive to feed formula proved highly efficient in terms of improving and enlarging fodder resources for commercial poultry farming. Under supervision of L. Melikadze and in collaboration with automobile engine chair of the Georgian Polytechnic Institute new suspension transmission lubricants possessing rather interesting antifricition and tribomechanical properties and etc. were developed.

Along with active research and educational work L. Melikadze carried out creative and useful work in cooperation with many research and industrial organizations and State structures of the Georgian Republic and the Soviet Union. For many years he was a member of many academic boards of many scientific and educational institutes and State emergency Committees fulfilling conscientiously the duties with which he was entrusted and participated actively in all the deeds aimed at scientific and technical progress of the Republic’s national economy.

Along with biographical and bibliographical data the book contains memorials about L. Melikadze of people who knew him close - scientific and technical workers, friends and disciples, - as well as photographic material representing his life and activity.


ლეონიდე მელიქაძე
(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

შესრულდა ცნობილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში ნავთობქიმიის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ლეონიდე დავითის ძე მელიქაძის დაბადებიდან 100 წელი.

ლეონიდე მელიქაძე ქიმიკოსთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთაც წილად ზვდათ საქართველოში იმ დიდი მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობის გაგრძელება და შემდგომი განვითარება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა ქართველმა ქიმიკოსმა პეტრე მელიქიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა.

ლეონიდე მელიქაძე დაიბადა 1912 წლის 7 ოქტომბერს ღვაწლმოსილი ქართველი პედაგოგების დავით მელიქაძისა და სოფიო ადამაშვილის ოჯახში. 1934 წელს მან წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, პიროგენეტული სპეციალობით, ნავთობის ტექნოლოგიის განხრით.

მან მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან დაიწყო ჯერ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში (სტაჟიორად), შემდეგ კი მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკვებ ნივთიერებათა ლაბორატორიაში.



1935 წელს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის საქართველოს წარმომადგენლობამ, რიონის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ნავარაუდევ მშენებლობასთან დაკავშირებით, ლ.მელიქაძე, სხვა ახალგაზრდა სპეციალისტებთან ერთად, ერთი წლით მიაგვლინა სტაჟირებისათვის ჯერ მოსკოვში, საწვავ ნამარხთა ინსტიტუტში, შემდეგ კი დონბასში, მაკევესკის კოკსოქიმიურ ქარხანაში.

1936 წელს ლ.მელიქაძემ მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ქიმიის ინსტიტუტში (ამჟამად საქმეცნიერებათა აკადემიის პეტრე

მელიქიშვილის სახ.ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი) ჯერ არაორგანულ ნივთიერებათა, ხოლო 1939 წლიდან ნამარხ საწვავთა ქიმიის ლაბორატორიაში, სადაც იგი შეუდგა საქართველოს ნავთობების სისტემატურ კვლევას.

ლ.მელიქაძე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც წამოიწყო საქართველოში სისტემატური კვლევები ნავთობის ქიმიისა და ტექნოლოგიის დარგში და ამ მიმართულებით მუშაობასა და მეცნიერული კადრების მომზადებას წარმატებით ახორციელებდა. 1942 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მიემდვნა ნორიოს ნავთობის ბუნებისა და თვისებების შესწავლას. ამ პერიოდს ეკუთვნის იმ დროისათვის ცნობილი საქართველოს სხვადასხვა საბადოს ნავთობების ქიმიური ბუნებისა და სასაქონლო თვისებების და ზოგიერთი პროდუქტის გაკეთილშობილებისა და ათვისების გზების ძიება, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში საქართველოს ნავთობების პასპორტიზაციასა და ათვისებას. მირზაანის და ნორიოს ნავთობების კვლევის შედეგები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წ. 2 იანვრის №2 დადგენილებით საფუძვლად დაედო 1952 წელს ქ.თბილისში, სადგურ ლილოში, საგზაო ბითუმის წარმოების დაგეგმარებასა და ორგანიზაციას.



1947 წლიდან 1977 წლამდე ლ.მელიქაძე მუშაობდა საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა აღნიშნული ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიას 1990 წლამდე.

1964 წელს ლ.მელიქაძემ აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნავთობქიმიური პროცესების ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ნავთობის მანამდე

ძალზე სუსტად შესწავლილ ლუმიენესცენციურ და ფოტოქიმიურ თვისებებს ეხებოდა. 1965 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

1967 წელს ლ.მელიქაძე არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს იმავე აკადემიის აკადემიკოსად.

1974 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ლ.მელიქაძემ და მისმა თანამშრომლებმა საქართველოს ნავთობების შესწავლით დაადგინეს, რომ საქართველოში მოგვეპოვება ქიმიური ბუნებით განსხვავებული ნავთობები. საქართველოში მცირედებიტოვანი ნავთობების სახით წარმოდგენილია თითქმის ყველა ცნობილი ტიპის ნავთობი და მათ შორის ისეთი უნიკალურიც, როგორიცაა საცხენისის “თეთრი” ნავთობი.

უთუოდ, ჩვენი რესპუბლიკის ნავთობების მრავალფეროვნების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს ლ.მელიქაძის მიერ შესწავლილი (მირზაანის ნავთობთან გენეტიკურად დაკავშირებული) უცნობი ლიპტობიოლიტი, რომელიც პოლიიზობუტილენს შეიცავს და საინტერესო ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებებით ხასიათდება. იგი ლიტერატურაში შესულია “მირზანიტი”-ს სახელწოდებით.

განსაკუთრებით ღრმად და დეტალურად არის შესწავლილი სამგორის და თელეთის ნავთობები. მათ საქართველოს ნავთობებს შორის პირველად მოიპოვეს მსხვილი, სამრეწველო გამოყენება (ლ. თოფურიძე, გ. ხიტირი). საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 ივლისის №495 დაგენილებით, ამ კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის მოსაზღვრე დარგების განვითარების პროგნოზის შემუშავებას.

იმ გარემოებამ, რომ საქართველოს განსხვავებული ბუნების, მცირედებიტიანი ნავთობების ათვისების პერსპექტივა არ ამართლებდა მათგან ჩვეულებრივი, ენერგეტიკული დანიშნულების მრავალტონაჟიანი პროდუქტების წარმოება ლ.მელიქაძე გარკვეულ მოსაზრებამდე მიიყვანა. მან შემოგვთავაზა და დაასაბუთა ჩვენი ნავთობების შერჩევითი ათვისების მიზანშეწონილობა - მათგან მრავალტონაჟიანი პროდუქტების წარმოების ნაცვლად სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მცირეტონაჟიანი, მაგრამ ძვირფასი პროდუქტებისა და მასალების მიღება, რომელთაც შეეძლოთ ეფექტური ზეგავლენის მოხდენა რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე. შემდეგში ლ.მელიქაძემ ნავთობის ქიმიის დარგში თავისი კვლევები ამ მიზანს დაუქვემდებარა.

საქართველოს მცირედებიტიანი ნავთობების ათვისების საკითხის ასეთ ასპექტში დაყენებამ ბუნებრივად გამოიწვია მათი კვლევისა და შესწავლის ახალი გეზის შერჩევა. საჭირო გახდა კვლევათა განვითარება არა მარტო ნავთობის ზოგადი, ნივთიერი შედგენილობის ცნობილი მეთოდებით შესწავლის, არამედ ნავთობისა და მისი შემადგენელი კომპონენტების მრავალმხრივი თვისობრივ-რაოდენობრივი დახასიათებისთვისაც. აუცილებელი გახდა ახალი ქიმიური, ფიზიკური და ელექტროფიზიკური თვისებების შესწავლა და ისეთი მიზნობრივი პროდუქტების მიღების შესაძლებლობის დადგენა, რომლებიც საინტერესო იქნებოდა ახალი ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით.



ყოველივე ამან გამოიწვია კვლევის ახალი მეთოდების შემუშავების საჭიროება და აუცილებლობა და სათანადო მოდელირების გზით მათი შემოწმება, რამაც თავის მხრივ მოითხოვა ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში ინდივიდუალური, ნავთობის ნახშირწყალბადთა მოდელური ნაერთების სინთეზის ორგანიზება. სპეციალურად შემუშავებული ახალი რაციონალური მეთოდების გამოყენებით ლაბორატორიაში სინთეზირებული იყო რთული აღნაგობის ინდივიდუალური არომატული ნახშირწყალბადები და მათი გოგირდწარმოებულები (ნაფტალინის, ფენანტრენის, ანტრაცენის და პენტაცენის ალკილ-, არილ- და ადამანტილწარმოებულები, აგრეთვე ბენზთიოფენის, დიბენზთიოფენის, ბენზნაფტოთიოფენის და ანტრაბენზთიოფენის ტიპის გოგირდნაერთები) (ნ. სხირტლაძე, დ. გვერდწითელი, ნ. ტაბაშიძე). აღსანიშნავია, რომ ამჟამად ლაბორატორია ფლობს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ უმდიდრეს კონდენსირებულ არომატულ (ინდივიდუალურ) ნახშირწყალბადთა კოლექციას, რომლითაც სარგებლობდა მრავალი საბჭოთა ფიზიკური და ქიმიური პროფილის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულება. აღნიშნული მოდელური ნაერთები გამოყენებული იყო ნახშირწყალბადთა კვაზინახობრივი სპექტრების დადგენისათვის, რომელიც 1981 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ცნობარის სახით გამოსცა. ამ სპექტრების საფუძველზე ნავთობის ქიმიის ლაბორატორიისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შემოქმედებით კავშირში პირველად იქნა შემუშავებული არომატული ნახშირწყალბადებისა და თიოფენის წარმოებულთა განსაზღვრის სპექტრული კრიტერიუმები, რომლებიც ხსენებული ნაერთების ნავთობში შემცველობის დადგენის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს (ტ. ტეპლიცკაია, რ. ახობაძე).



შემდგომ წლებში საქართველოს მცირედებიტიანი ნავთობების მიზანშეწონილი ათვისების მიზნით წარმოებული კვლევითი მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. ყურადღება ძირითადად ნავთობების მაღალმოლეკულურ ნაწილს დაეთმო, რადგან იგი ამჟამად ნავთობიდან სასარგებლო პროდუქტების გამოსავლის გადიდების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ არის მიჩნეული. ლ.მელიქაძე დასახული გეზით კვლევით მუშაობას თავის მოწაფეებთან და თანამშრომლებთან ერთად ნაყოფიერად ავითარებდა და მთელ ყურადღებას ნავთობის ურთულეს და ამის გამო ნაკლებად შესწავლილ მაღალმოლეკულური ნაწილის კვლევას უთმობდა. საერთოდ, ნავთობის მაღალმოლეკულური ნაწილის სირთულე და სათანადო კვლევის მეთოდების ნაკლებობა, ამ პერსპექტიული ნედლეულის ქიმიური ბუნების შეცნობას ნავთობის ქიმიის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად სახავს. აქედან გამომდინარე,

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავების მიზნით ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში ფართო კვლევითი მუშაობა გაიშალა.

აღსანიშნავია, რომ ნავთობის მაღალმოლეკულური ნაერთების ინდივიდუალურ კომპონენტებად დაყოფა, ჯერ კიდევ პრაქტიკულად გადაუჭრელ ამოცანას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რთული ნახშირწყალბადების ნარევის გამარტივების მეთოდებისა და გამარტივებული ნაერთების თვისებების ძიება, ნავთობის მაღალმოლეკულური ნაწილის შესწავლის ერთ-ერთ ეფექტურ შესაძლებლობად ითვლება. ამიტომ ნავთობის მაღალმოლეკულური ნაწილის დაყოფის, მათგან გარკვეული კომპონენტების გამოყოფისა და შესწავლის ერთ-ერთ საშუალებად ლ.მელიქაძემ, თავის მიერ ადრე გამოვლენილი, ნავთობისა და მისი კომპონენტების განსხვავებული ლუმინესცენტური და ფოტოქიმიური თვისებები შეარჩია. მან პირველმა გამოიყენა ფოტოქიმიური მეთოდები ნავთობის კვლევისათვის და მათზე დაყრდნობით შემუშავა ნავთობის კვლევის რიგი, ახალი ეფექტური მეთოდები და ნავთობის მაღალმოლეკულური არომატული ნახშირწყალბადების ახალი, მიზანშეწონილი გამოყენების გზები.

ნავთობის მარალმოლეკულური ნახშირწყალბადოვანი ნაწილის შესწავლის შედეგად ლ.მელიქაძემ, თანამშრომლებთან ერთად, პირველად გამოყო და დაადგინა ნავთობის ხილული ლუმინესცენციის გამაპირობებელი კომპონენტების ქიმიური ბუნება და თვისებები. ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ ნავთობის ლუმინესცენცია გაპირობებულია მაღალმოლეკულური კონდენსირებული არომატული ნახშირწყალბადებით და არა ფისოვანი ნაერთებით, რომელთაც ადრე აწერდნენ ნავთობის ამ მეტად საინტერესო თვისებას. დადგინდა, რომ მათ შორის გვხვდება ნაერთები, რომელთაც მეტად საინტერესო და გამოყენების თვალსაზრისით პერსპექტიული ელექტროფიზიკური და ფოტოქიმიური თვისებები ახასიათებთ. შემდგომი ნავთობის ლუმინესცირებადი კომპონენტების საფუძველზე ლ.მელიქაძის მიერ მანქანათა საპასუხისმგებლო ნაწილების დეფექტოსკოპიისათვის მოწოდებული იყო ახალი ლუმინოფორი, რომელმაც “ნორიოლის” სახელწოდებით ფართო აღიარება ჰპოვა.

სსრკ-ს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე “ნორიოლმა” 1960 წელს მოიპოვა სპეციალური დიპლომი, ხოლო ავტორებმა ოქროსა და ვერცხლის მედლები. მონოგრაფიისათვის “ნავთობის ფლუორესცირებადი ნაერთების ბუნების შეცნობისათვის” ლ. მელიქაძეს, თ.ელიავას და ე.უშარაულს 1959 წელს მიენიჭა პ.მელიქიშვილის სახელობის პრემია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული კვლევები და მათი შემდგომი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა იმ დიდი დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე, რომელსაც ლ. მელიქაძის სამუშაოებს უწევდნენ საკავშირო და რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოები. ამან

საშუალება მისცა მას თბილისის გარეუბანში (სადგური ლილო), შეექმნა მძლავრი, იმ დროის მოთხოვნილებათა შესაბამისი ტექნოლოგიური ექსპერიმენტული ბაზა, რომელმაც შემდგომში დიდად შეუწყო ხელი რიგი ახალი კვლევების განვითარებას და მათ სახალხო მეურნეობაში დანერგვას.

“ნორიოლი“-ს მცირეტონაჟიანი წარმოება, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 7 იანვრის №1 განკარგულებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ.მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლილოს ექსპერიმენტულ ბაზაში მოეწყო, საბჭოთა კავშირის 70-ზე მეტ გემთმშენებელ, მანქანათმშენებელ და საავიაციო ქარხნების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა (ლ. მელიქაძე, ი. მანჯგალაძე, ზ. გურგენიძე). “ნორიოლი” რეკომენდებულია სპეციალურ ლიტერატურასა და ცნობარებში და მომხმარებლების მაღალ შეფასებას იმსახურებს. შემდეგში ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში შემუშავებულ იქნა ახალი ლუმინოფორების “ნორიოლ-ა“-ს (ზ.გურგენიძე) და “ნორიოლ-ა 400“-ის (ზ.გურგენიძე, გ.ხიტირი) მიღების ტექნოლოგიური პროცესი.

ნავთობის კვლევისათვის ფოტოქიმიური მეთოდების შემოღებით ლ.მელიქაძემ შეძლო ლუმინესცენციური ნაერთების ისეთი თვისებების გამოვლენა, რომელთა საფუძველზე გადაწყდა ზოგიერთი სამეცნიერო - ტექნიკური ამოცანა. ნავთობის ლუმინესცენციისა და ფოტოქიმიის დარგში კვლევების აქტუალობა ხაზგასმული იყო სსრ კავშირის სადირექტივო ორგანოების სპეციალურ გადაწყვეტილებებში, სადაც საკითხი დასმულია ზემოხსენებული კვლევების შემდგომი გაფართოებისა და განვითარებისათვის.

XX საუკუნის 80-იან წლებში ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში ლ.მელიქაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ორიგინალური ექსპერიმენტული მოწყობილობები და შემუშავებულია ნავთობის მაღალმოლეკულური ნაწილის კვლევის ახალი მეთოდები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა ნავთობის ქიმიის მრავალი საყურადღებო საკითხის გარკვევა.

ამ მიმართულებით აღსანიშნავია:

- რთული შედგენილობის ნახშირწყალბადთა მცირე რაოდენობების დაყოფის მიზნით ლაბორატორიაში დამზადებული იყო მიკროთერმოდინამიკური სვეტები, რომლებიც გამოყენებული იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნავთოქიმიური სინთეზის, საკავშირო ნავთობის მრეწველობის სამინისტროს საწვავ ნამარხთა გეოქიმიისა და აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა დანამატების ქიმიის ინსტიტუტებში.

- ლუმინესცენციური და ფოტოქიმიური კვლევებისათვის შექმნილი ჰეტეროქრომული ლუმინესცენციური ფოტომეტრი ძალზე ეფექტური გამოდგა ნავთობის ლუმინესცენციისა და ფოტოქიმიური თვისებების შესწავლის თვალსაზრისით. ამჟამად იგი გამოიყენება აგრეთვე ნავთობის ლუმინოფორის - “ნორიოლი“-ს წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესის კონტროლისა და პროდუქტის ხარისხიანობის შეფასების მიზნით.

ნავთობის ლუმინესცენციური და ფოტოქიმიური თვისებების კვლევის შედეგად შემუშავებულია მაღალმოლეკულურ, კონდენსირებულ არომატულ ნახშირწყალბადთა უცნობი შედგენილობის ნარევი ხაზობრივად კონდენსირებული სტრუქტურის მქონე სისტემების შემცველობის დადგენის შესაძლებლობა.

შემუშავებულია ნავთობის და მისი პროდუქტებიდან მიკროელემენტების გამოყოფის ფოტოქიმიური მეთოდი, რომლის უპირატესობამ, სხვა ცნობილ მეთოდებთან შედარებით მნიშვნელოვნად გააფართოვა ნავთობის მინერალური ნაწილის შესწავლის შესაძლებლობა აღნიშნულმა მეთოდმა ფართო გამოყენება მოიპოვა რიგ სამეცნიერო დაწესებულებებში (ქ. გოდერძიშვილი). კერძოდ, საბჭოთა კავშირის გეოლოგიისა და საწვავ ნამარხთა დამუშავების (ქ.მოსკოვი) და ნავთოქიმიური მრეწველობის სამინისტროს შუა აზიის ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ინსტიტუტებში (ქ.ტაშკენტი).

საქართველოს ნავთობების მიკროელემენტების შესწავლის შედეგები განზოგადებულია მონოგრაფიაში “საქართველოს ნავთობების მიკროელემენტების შესწავლისათვის” (ლ. მელიქაძე, ქ. გოდერძიშვილი, დ. ზულფუგარლი). აღნიშნული მეთოდით შესწავლილია მიკროელემენტების განაწილება საქართველოს ნავთობებში და ბუნებრივ ბიტუმებში.

დადგენილია გარკვეული კანონზომიერებები ნავთობის ასაკსა და მიკროელემენტების კონცენტრაციებს შორის (ქ.გოდერძიშვილი, თ.გაბუნია).

ახალი ფოტოქიმიური რეაქციის - ფენანტრენის რიგის ნახშირწყალბადთა მალეინის მჟავის ანჰიდრიდთან ფოტოქიმიური კონდენსაციის შესწავლით დადგენილია რეაქციის მექანიზმი და მასზე ნახშირწყალბადთა სტრუქტურული ფაქტორების გავლენა და ზოგიერთი ადუქტების ბიოლოგიური აქტიურობა (მცენარეთა დაფესვიანების სტიმულაცია). აღნიშნული რეაქციის საფუძველზე შემუშავებულია ნავთობიდან ფენანტრენული რიგის ნახშირწყალბადების გამოყოფის ორიგინალური მეთოდი. ნავთობიდან გამოყოფილ ფენანტრენული ნაერთების კონცენტრატებში იდენტიფიცირებულია 24 ფენანტრენული ნახშირწყალბადი (ე.ლექვეიშვილი, მ.თევდორაშვილი, ე.ქართველიშვილი).

კვლევის შედეგები განზოგადოებულია მონოგრაფიაში “ფენანტრენული ნახშირწყალბადების მალეინის ანჰიდრიდთან ფოტოქიმიური კონდენსაცია” (ლ.მელიქაძე, ე.ლექვეიშვილი).

ნავთობის მაღალმდულარე ფრაქციების არომატული ნახშირწყალბადების კვლევისათვის ლაბორატორიაში შემუშავებულია ჰიდროპიროლიზური ფრაგმენტაციის ავტოკლავური მეთოდი. შესაბამისი ჰიდროპიროლიზატების კვლევის შედეგად გამოვლენილი და იდენტიფიცირებულია ნავთობის მაღალმდულარე ნახშირწყალბადებში, ფისოვან-ასფალტენურ ნაერთებში და ბუნებრივ ბიტუმებში შემავალი მთელი რიგი არომატული სტრუქტურები (ნაფტალინი, ფენანტრენი, დიფენილი, ფლუორენი, პირენი, ქრიზენი და სხვა. (ე. უშარაული, ლ. კორტავა, ი.მჭედლიშვილი).

ლაბორატორიაში დასინთეზებული ეტალონური ინდივიდუალური არომატული ნახშირწყალბადების საფუძველზე გამოიცადა ნავთობში შემავალი არომატული სტრუქტურების რაოდენობრივი ანალიზის არსებული მეთოდები. შემუშავებული იქნა მას-სპექტრების მიხედვით არომატული ნახშირწყალბადების შედგენილობის განსაზღვრის ახალი მეთოდი უჯერობის მაღალი ხარისხის მქონე (44 ერთეულამდე) ნახშირწყალბადებისთვის. ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და მას-სპექტრალური მეთოდების კომპლექსური გამოყენებით განსაზღვრული იქნა ნორიოს ნავთობის მაღალმდულარე არომატული ნახშირწყალბადების შედგენილობა, აღნაგობა და მათი განაწილება ნორიოს ნავთობის 340-550°C ფრაქციებში (შ. ბარაბაძე).

საქართველოს ნავთობების ნივთიერი შედგენილობის შესწავლაში მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ტარიბანისა და საცხენისის ნავთობების საშუალო ფრაქციებიდან პოლიციკლური ალკანების ვიწრო კონცენტრატების გამოყოფის კომპლექსური მეთოდის შემუშავება. ქრომატო-მას-სპექტრომეტრული კვლევებით კონცენტრატებში იდენტიფიცირებულია 70-ზე მეტი ბი-, ტრი-, ტეტრა- და პენტაციკლური ნაფტენები, მათ შორის 10 პირველად ნავთობში, 54 კი - პირველად საქართველოს ნავთობებში. ტარიბანის ნავთობში დიდი ალბათობით ნავარაუდევია ახალი, ტეტრაციკლანების ჰომოლოგიური რიგების, მათ შორის ტეტრაციკლო[7,3,1,0^{2,7}1¹]ტეტრადეკანის, არსებობა. (ე. თოფურია).

დიდი და საინტერესო გამოკვლევა ეკუთვნის ლ. მელიქაძეს თანამშრომლებთან ერთად ნახშირწყალბადების ფოტოქიმიური გარდაქმნებისა და ჟანგვითი რეაქციების შესწავლაში (ი. ედილაშვილი). გამოვლენილია ნავთობის ზეთის ფრაქციებში შემავალ ნახშირწყალბადთა ფოტოქიმიური ჟანგვის დამამუხრუჭებელი ახალი ნივთიერებანი - ინჰიბიტორები, რომლებიც მოწოდებულია ციტრუსების მავნებლებთან ბრძოლისათვის, ინსექტიციდებად გამოყენებული მინერალური ზეთების ფოტოქიმიური ჟანგვის შედეგად ფიტოტოქსიკურ ნივთიერებათა წარმოქმნის წინააღმდეგ. ამის საფუძველზე საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ერთად შემუშავდა ახალი, ფიტოტოქსიკურ თვისებებს მოკლებული პრეპარატი “კეიმ“-ი, რომელიც ეფექტური აღმოჩნდა ციტრუსების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისა და მოსავლიანობის გაზრდის თვალსაზრისით (რ. ყიფიანი, ი. ედილაშვილი, ზ. გურგენიძე).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 10 ოქტომბრის №621 და 1980 წლის 12 მარტის №205 დადგენილებებით ქბათუმში, საქართველოს სსრ ადგილობრივი

მრეწველობის სამინისტროს ქიმიურ ქარხანაში, 1978 წლიდან დაიწყო პრეპარატ “კეიმ“-ის წარმოება და მისი გამოყენება მავნებლებისაგან ციტრუსოვანთა პლანტაციების დასაცავად.

1976-1978წწ. სამგორის სამრეწველო მნიშვნელობის ნავთობის დიზელის საწვავის ფრაქციის ნ-პარაფინული ნახშირწყალბადების შესწავლით დადგენილია მეცხოველეობის ეფექტური პროტეინული საკვების - საფუარის ცილების წარმოების - მიზანშეწონილობა. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში გამომუშავებული სამგორის ნავთობის დიზელის ფრაქციის ნ-პარაფინების საფუძველზე მიღებული საფუარი, იმ დროისათვის მთლიანად დააკმაყოფილებდა საფუარ-ცილებზე არცთუ დიდ მოთხოვნილებას. რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამავე დროს ეს იქნებოდა სამგორის ნავთობის ნ-პარაფინების ერთ-ერთი მიზანშეწონილი ათვისების გზა (ე. უშარაული).



ლ. მელიქაძის ხელმძღვანელობით საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომობილების ძრავების კათედრასთან ერთად ტარდებოდა კვლევები მაღალდისპერსული ნახშირბადის საფუძველზე ავტომობილების სასაქონლო სატრანსმისიო ზეთების გაკეთილშობილების მიზნით. მიღებული იქნა სპეციალური დანიშნულების სუსპენზიური სატრანსმისიო ზეთები, რომელთაც მეტად საინტერესო ანტიფრიქციული და ტრიბომექანიკური თვისებები აღმოაჩნდათ. ასეთი სახის ზეთების სხვადასხვა კლიმატურ ზონებში მრავალწლიანმა გამოცდამ აჩვენა, რომ მათი გამოყენება იწვევს საწვავის ხარჯვის მნიშვნელოვან შემცირებას. ასევე დადგენილია, რომ საბაზო სატრანსმისიო ზეთების ნაცვლად წარმატებით შეიძლება ნორიოს ნავთობიდან მიღებული ზეთების გამოყენებაც (ჯ. იოსებიძე, თ. ლოგუა).

აღსანიშნავია მელიქაძის ხელმძღვანელობით შესრულებული იმ კვლევის შედეგები, რომელთაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში თავისი გამოყენება ჰპოვეს:

საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ერთად შემუშავებული იყო ნაძვის დიდი ლაფანჭამიისა და ფიჭვის ღეროს ალურას წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალება, პრეპარატი “პლკ”, რომლის შემწეობით ჩვენი საკურორტო ტყეები გადურჩა განადგურებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო საგანგებო კომისიის 1969 წლის 7 იანვრის დადგენილებით ხსენებული პრეპარატი ფართოდ გამოიყენებოდა ჩვენი წიწვოვანი ტყეების დასაცავად (რ. ყიფიანი).

პრეპარატ “პლკ“-ს შემუშავებისათვის ავტორთა კოლექტივი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიით.



ასევე აღსანიშნავია ყურძნის ჭიისა და ტყის ზოგიერთი მავნებლების საწინააღმდეგო პრეპარატი “კრხ”, რომელიც საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 12 მარტის №205 დადგენილების შესაბამისად დაინერგა ხსენებული მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად და ახასიათებდა მაღალი ეფექტურობა. აღნიშნული პრეპარატიც ლ.მელიქაძემ მცენარეთა დაცვისა და სამთო-მეტეცევეობის ინსტიტუტების თანამშრომლებთან შემოქმედებით კავშირში შეიმუშავა (რ. ყიფიანი, ი.შავლიაშვილი).

ლ.მელიქაძემ მეფრინველეობის ამიერკავკასიის ზონალური სადგურისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოვეტინსტიტუტის ქიმიურ-თერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხნის თანამშრომლებთან ერთად (ნ. კვაშალი, თ. კობახიძე) მეფრინველეობის საკვები ბაზის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავეს კომბინირებული საკვების მაღალკალორიული დანამატი. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 17 ნოემბრის № 5-527/3 მითითების თანახმად, ხსენებული მაღალკალორიული დანამატის წარმოება 1980 წლიდან დაიწყო ზოოვეტინსტიტუტის ზემოაღნიშნულ ექსპერიმენტულ ქარხანაში.

ლაბორატორიაში შემუშავებული ფოტოქიმიური მეთოდის გამოყენებით დადგენილია, რომ ნავთობიდან გამოყოფილი ფისოვან-ასფალტენური ნაერთები ფოტოქიმიური ზემოქმედებისას განიცდიან დესტრუქციას და ჟანგვას, რომლის დროსაც ადგილი აქვს ნაჯერი ჩამნაცვლებლების მოხლეჩას და მცენარეთა ზრდის რეგულატორების (ფენოლის და სპირტის ჰიდროქსინაერთების) წარმოქმნას (ბ.კუპრაშვილი, გ.ბახტურიძე).



აღნიშნული სამუშაოების პარალელურად ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში მუდმივად მიმდინარეობდა ყოველი ახალი საბადოს ჭაბურღილების ნავთობების შესწავლა. ნავთობების კვლევის უნიფიცირებული მეთოდებით შესაწავლილია საქართველოში მოპოვებული შემდეგი ნავთობები: ნორიო, სუფსა, მირზაანი, ტარიბანი, საცხენისი, სამგორი, რუსთავი, თელეთი, პატარა შირაქი, ოქუმი, ვეძები. მათი შედგენილობისა და სასაქონლო თვისებების კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო საქართველოს ნავთობების პასპორტიზაციას და ათვისების პერსპექტივას (ლ.თოფურიძე, გ.ხიტირი, ნ.ხეცურიანი).

ლაბორატორიაში შემუშავებული პარაფინული ნავთობებიდან მოხმარების დიდი

დიაპაზონის მქონე ვაზელინების მიღების გამარტივებული და ეკოლოგიურად უსაფრთხო კომპლექსური მეთოდი (ნ.ხეცურიანი).

ლ. მელიქაძეს საინტერესო მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სამეცნიერო და სამრეწველო ორგანიზაციებთან. ეს შემოქმედებითი კავშირები ფართო და სასარგებლო ფორმებს იღებდა.

ლ.მელიქაძის კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია 3 მონოგრაფიისა და 300-ზე მეტ სამეცნიერო სტატიისა და პოპულარული გამოცემების სახით, რომელთაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს. იგი თანამშრომლებთან ერთად ავტორია 30-მდე გამოგონებისა. ლ. მელიქაძის რედაქტორობით გამოქვეყნებულია მონოგრაფიები და შრომათა კრებულები.

იგი დიდ ყურადღებას უთმობდა კვლევის შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვას, რასაც ძალზე უწყობდა ხელს მისი საოცარი ალღო და საინჟინრო განათლება. მისი გამოგონებებიდან 11 დანერგილია სახალხო მეურნეობაში და გამოყენებულია საბჭოთა კავშირის 100-ზე მეტ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში.

ლ.მელიქაძე დიდ და სასარგებლო მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდა, მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებისათვის. მისი ხელმძღვანელობით ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში დამუშავებულია 25-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.


ფართო სამეცნიერო და აღმზრდელობით მოღვაწეობასთან ერთად მელიქაძე დიდ დროსა და ენერგიას უთმობდა სამეცნიერო-ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ მუშაობასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობა, რომელსაც იგი ეწეოდა 30 წლის განმავლობაში საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ.მელიქიშვილის სახ. ფიზიკური

და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში მუშაობის პერიოდში. ინსტიტუტის ხელმძღვანელობაში აქტიური მონაწილეობით მან დიდად შეუწყო ხელი საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის განვითარებასა და ქიმიის დარგში მოწინავე, მძლავრ სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბებას.

მრავალი წლის განმავლობაში რიგ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოებისა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის, საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვ.ი.ლენინის სახ. საქ. სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტების საკვალიფიკაციო სამეცნიერო საბჭოს წევრი) და მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიების (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭოს, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სოფლის მეურნეობის კომისიის, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ლაფანჭამიასთან ბრძოლის საგანგებო სახელმწიფო კომისიის და საქართველოს კპ ცკ-ის სამრეწველო პროდუქციის ხარისხის კომისიის) წევრად ყოფნის პერიოდში იგი ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და აქტიურად მონაწილეობდა ყველა ღონისძიებაში, რომელიც ტარდებოდა რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

უკანასკნელ წლებში იგი განაგრძობდა სასარგებლო ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების წევრი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ჟურნალ “მაცნეს” (ქიმიური სერია) რედაქციის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის ორი საკვალიფიკაციო სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი და საზოგადოება “ცოდნის” თბილისის განყოფილების გამგეობის წევრი.

ლ.მელიქაძე დიდ სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა როგორც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის “ნავთობქიმიის” საპრობლემო სამეცნიერო საბჭოს წევრი და ასევე საბჭოს საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის “ორგანული გოგირდოვანი ნაერთების ქიმიისა და ტექნოლოგიის” და “მანქანათა ნაწილების დეფექტოსკოპიის ფიზიკური მეთოდები მათი დარღვევის გარეშე” სამეცნიერო საპრობლემო საბჭოს წევრი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სასურსათო პროგრამის კომისიის წევრი.



ЛЕОНИД ДАВИДОВИЧ МЕЛИКАДЗЕ
(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Исполнилось 100 лет со дня рождения известного грузинского ученого, химика, одного из основателей отечественной нефтехимической науки, академика Национальной академии наук Грузии, заслуженного деятеля науки Грузинской ССР Леонида Давидовича Меликадзе.

Л. Д. Меликадзе является представителем того славного поколения химиков, которым выпала честь продолжения и дальнейшего развития большой научной и организационной работы, фундамент которой был заложен выдающимся грузинским химиком П. Г. Меликишвили и его соратниками.

Л. Д. Меликадзе родился 7 октября 1912 года в семье видных грузинских педагогов Давида Исидоровича Меликадзе и Софьи Адамашвили. В 1934 году он с отличием окончил химико-технологический факультет Грузинского индустриального института по пирогенетической специальности, в направлении технологии нефти.

Свою трудовую деятельность он начал еще со студенческого периода стажером на Батумском нефтеперерабатывающем заводе, а затем в Научно-исследовательском институте легкой промышленности и в лаборатории пищевых продуктов Тбилисского государственного университета.

В 1935 году, в связи с намечаемым в то время строительством Рионского азотно-тукового завода, Л. Д. Меликадзе вместе с другими молодыми специалистами был направлен Уполнаркомтяжпромом ГССР на стажировку в Москву, в Институт горючих ископаемых и в Донбасс на Макеевский коксохимический завод сроком на один год.

С 1936 года Л. Д. Меликадзе начал работать в Институте химии Грузинского филиала АН СССР (ныне Институт физической и органической химии им. П. Г. Меликишвили АН Грузии) в лаборатории неорганических веществ, а с 1939 года — в лаборатории горючих ископаемых, где он приступил к систематическому изучению нефтей Грузии.

Л. Д. Меликадзе одним из первых в Грузии начал заниматься систематическими исследованиями в области химии и технологии нефти и успешно осуществлял работу и подготовку научных кадров в этом направлении.

В 1942 году он успешно защитил кандидатскую диссертацию, которая посвящалась изучению химической природы и свойств норийской нефти. В этот период были изучены природа и товарные свойства всех известных в то время нефтей перспективных месторождений Грузии, а также пути облагораживания некоторых нефтепродуктов, что в дальнейшем легло в основу паспортизации и освоения грузинских нефтей. На основе результатов исследования мирзаанской и норийской нефтей в 1952 году, согласно постановлению Совета Министров ГССР от 2 января 1951 г. за № 2, началось проектирование и организация в г. Тбилиси, на станции Лило, производства дорожных битумов.

С 1947 по 1977 годы Л. Д. Меликадзе работал заместителем директора по научной части Института физической и органической химии им. П. Г. Меликишвили АН ГССР. Одновременно, вплоть до 1990 года, он возглавлял лабораторию химии нефти того же института.

В 1964 году в Институте нефтехимических процессов АН АзССР Л. Д. Меликадзе успешно защитил докторскую диссертацию, которая посвящена малоизученной проблеме — люминесцентным и фотохимическим свойствам нефтей. В 1965 году ему было присвоено ученое звание профессора.

В 1967 году Л. Д. Меликадзе был избран член-корреспондентом АН ГССР, а в 1974 — действительным членом АН ГССР.

В 1974 году ему было присвоено почетное звание «Заслуженный деятель науки Грузинской ССР».

В результате изучения грузинских нефтей Л. Д. Меликадзе с сотрудниками установили наличие в Грузии различных, отличающихся по химической природе нефтей.

В Грузии имеются малodeбитные нефти почти всех известных типов, в том числе и такая уникальная, как «белая» нефть Сацхенисского месторождения.

К одним из подобных проявлений разнообразия в химической природе нефтей Грузии следует, по-видимому, отнести исследованный Л. Д. Меликадзе неизвестный до того времени липтобиолит, содержащий полиизобутилен и характеризующийся ценными физико-химическими и механическими свойствами. Он вошел в литературу под названием «Мирзанит».

Изв. АН ГССР, серия химическая, 1975, т. I, № 1. — 1982, т. 8, № 2. — Член ред. коллегии.

1979

274. ქრ. არეშიძე. ნ. ზელინსკის შემოქმედებითი გზა. თბ., მეცნიერება, 1979, 265 გვ.
Арешидзе Х. И. Творческий путь Н. Д. Зелинского. Тб... Мецниереба, 1979. 265 с.

1982

275. ავალიანი ა. შალვა ცინცაძე — მეცნიერი და მკვლევარი. თბ., მეცნიერება, 1982, 128 გვ.
Авалиани А. Ш., Шалва Цинцадзе — ученый и исследователь. Тб., Мецниереба, 1982, 128 с.

ლიტერატურა ლეონიდე მელიქაძეზე ЛИТЕРАТУРА О Л. Д. МЕЛИКАДЗЕ

1956

276. Елчин П. М. Люминесцентная дефектоскопия. [Люминофор «Нориол», разработанный под руководством Л. Д. Меликадзе]. — В кн.: Справочник машиностроителя. М., Машгиз, 1956, т. 6, с. 83.
277. Карякин А. В. Люминесцентная дефектоскопия. [Рекомендация применения люминофора «Нориол» в машиностроительной дефектоскопии]. — Информационно-технический листок Ленинградского дома научно-технической пропаганды, 1956, № 17.

1958

278. Сергиенко С. Р. Высокомолекулярные вещества нефти. [Результаты исследования Л. Д. Меликадзе и их значение в науке о нефти]. — В кн.: Итоги науки. Химические науки, т. 2, химия нефти и газа. М., Изд-во АН СССР, 1958, с. 320—321.
279. Филимонова Е. А. Сравнительная оценка смачивающей способности жидкостей для люминесцентной дефектоскопии. [Исследование смачивающей способности лю- монофора «Нориол»]. — ВИНТИ, сб.: 9. Методы и автоматизация контроля качества деталей. 1958, с. 21.

1959

280. არეშიძე ქრ. სიახლე ნავთობის ქიმიაში [ლ. მელიქაძეს, თ. ელიავას და ე. უშარაულს მიენიჭათ 1959 წ. პეტრე მელიქიშვილის სახ. პრემია ნავთობოსათვის “ნავთობის ფლუორესცირებადი კომპონენტების შეცნობისათვის”]-კომუნისტი, 1959, 26 აგვისტო, გვ. 2.
Арешидзе Х. И. Новизна в химии нефти. [Присуждение Л. Д. Меликадзе, Т. А. Элиава и Э. А. Ушараули премии им. П. Г. Меликишвили 1959 года за работу: «Распознавание флуоресцирующих компонентов нефти»]. — Комунисти, 1959, 26 авг., с. 2.
281. Мамедов Х. И. Спектры люминесценции высокомолекулярных углеводородов нефти. [Изучены вещества, полученные в результате исследований Л. Д. Меликадзе]. — Изв. АН СССР, серия физическая, т. 23, № 1, 1959, с. 126.
282. [Кристаллические ароматические соединения нефти]. — В кн.: Сергиенко С. Р. Высокомолекулярные соединения нефти. М., Изд-во Нефт. и горно-топл. лит-ры, 1959, с. 206—207.

1960

283. Карякин А. В. Люминесцентная дефектоскопия в машиностроительной промышленности, сельском хозяйстве и медицине. [О люминофоре «Нориол»]. — В сб.: Сб. докладов научно-технической конференции по применениям

люминесценции. Таллин, Изд-во Гос. науч.-техн. комитета. Совета Министр. Эстонской ССР, 1960, с. 38.

1964

284. Долбанов П.Е. и Козлов В.Я. Вопросы усовершенствования технологии капиллярных методов испытания. [Сравнительные испытания люминофора «Нориол»]. — В сб.: Неразрушающие методы контроля материалов и изделий. М., 1964, с. 480.
285. [Значение исследований Л.Д.Меликадзе]. — В кн.: Сергиенко С.Р. Высокомолекулярные соединения нефти. М., Химия, 1964, с. 280, 281.

1966

286. Боровиков А.С. Некоторые средства испытаний капиллярно-дефектоскопических материалов. [О применении люминофора «Нориол»]. — Дефектоскопия, 1966, № 2, с. 79.
287. Боровиков А.С. О создании материалов для люминесцентной и цветной дефектоскопии. [Даются рекомендации применения люминофора «Нориол»]. — Дефектоскопия, 1966, № 1, с. 49

1967

288. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არჩევნები. [წევრ-კორესპოდენტად არჩეული არიან ლ.მელიქაძე და სხვები].—კომუნისტი, 1967, 17 დეკემბერი, გვ.1; Заря Востока, 1967, 17 дек. с. 3.
- Выборы Академии наук Грузинской ССР. [В член-корреспонденты выбраны: Л. Д. Меликадзе и др.]. —Заря Востока, 1967, 17 дек., с. 3; Коммунист, 1967, 19 дек., с. 1.

1968

289. Объект исследования — нефть. [Беседа Л. Д. Меликадзе с корреспондентом газеты «Вечерний Тбилиси»]. — Вечерний Тбилиси, 1968, 18 января, с. 3.

1972

290. Авербах А. Я. Основные пути развития органической химии и технологии. (К 50-летию образования СССР). [Отмечаются достижения Грузинских химиков: Л. Д. Меликадзе и др.]. — Журнал органической химии, т. 8, вып. 11, 1972, с. 2209.

1974

291. საპატიო წოდების მინიჭება. [საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭათ ლ.მელიქაძეს და სხვებს]. - კომუნისტი, 1974, 21 დეკემბერი, გვ.2. Заря Востока, 1974, 24 дек., с. 2.
- Присвоение почетного звания. [Почетное звание заслуженного деятеля Грузинской ССР присвоено Л. Д. Меликадзе и др.].-Заря Востока, 1974, 24 дек., с. 2; Коммунисти, 1974, 21 дек., с. 2.
292. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახალი შევსება. [საქ.სსრ მეცნ.აკად. ნამდვილ წევრებად არჩეული არიან: ლ.მელიქაძე და სხვები]. - კომუნისტი, 1974, 30 მარტი, გვ.2; Заря Востока, 1974, 30 марта, с.2.
- Новое пополнение Академии наук ГССР [Выбраны действительные члены АН ГССР: Л. Д. Меликадзе и др.]. — Заря Востока, 1974, 30 марта, с. 2; Коммунист, 1974, 30 марта, с. 3.
293. [Библиография Научных работ Л. Д. Меликадзе за период 1937—1972 гг.]. — В кн.: Библиографический указатель изданий Института физической и органической химии им. П. Г. Меликишвили АН ГССР, 1929—1979. Тб., 1974. 247 с.

294. Шульц С. Г. Светящиеся кристаллы нефти. [Сообщается о люминесцирующих кристаллических веществах, выделенных впервые Л. Д. Меликадзе]. — Известия, 1974, 12 июня, с. 4.

1975

295. Манджгаладзе И.Г. Повысить эффективность кормов. [Касается исследований, проводимых под руководством Л. Д. Меликадзе]. — Вечерний Тбилиси, 1975, 12 февр., с. 2.

1976

296. Шульц С. Г. Комбикорм для птицеводства. [Сообщение о высококалорийной добавке к комбикорму, разработанной под руководством Л. Д. Меликадзе]. — Коммунист (Ереван), 1976, 6 апреля, с. 3.

1977

297. Ценный труд. [О работе Л. Д. Меликадзе и др. «К изучению микроэлементов нефти Грузии»]. — Вечерний Тбилиси, 1977, 1 марта, с. 3.

1978

298. გოქაძე შ. აქტუალური პრობლემები. [ლ.მელიქაძის ხელმძღვანელობით საქ.სსრ მეცნ. აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ლაბორატორიის კვლევითი მუშაობის შესახებ]. - თბილისი, 1978, 6 ივნისი, გვ.3.
Гокадзе Ш. Актуальные проблемы. [Относительно научных исследований лаборатории химии нефти Института физической и органической химии АН ГССР под руководством Л. Д. Меликадзе]. — Тбилиси, 1978, 6 июня, с. 3.
299. Амირеджиби К. Надежный защитник цитрусовых. [Относительно созданного под руководством Л. Д. Меликадзе препарата КЭИМ].-Заря Востока. 1978, 10 августа, с. 3.
300. Шульц С. Г. Гроза когцида. [Сообщается о препарате для борьбы против когцидов, разработанного под руководством Л. Д. Меликадзе]. — Вечерняя Москва, 1978, 20 мая, с. 4.

1979

301. მეცნიერება საწარმოო ძალაა. [აღნიშნულია ლ.მელიქაძის კვლევის შედეგების გამოყენება სოფლის მეურნეობაში]. - კომუნისტი, 1979, 1 აპრილი, გვ.3.
Наука является производственной силой. [Отмечается применение результатов исследования Л. Д. Меликадзе в сельском хозяйстве]. — Коммунист, 1979, 1 апреля, с. 3.
302. ქიმია სოფლის მეურნეობის ფრთებია. [ლ.მელიქაძის ხელმძღვანელობით მიღებულია ციტრუსოვანთა მავნებლების საწინააღმდეგო პრეპარატი “კეიმი”] - კომუნისტი, 1979, 15 მაისი, გვ.2.
Химия -- крылья сельского хозяйства. [Препарат «КЭИМ» — средство против вредителей цитрусовых, разработанный под руководством Л. Д. Меликадзе]. — Коммунисти, 1979, 15 мая, с. 2.
303. [Микроэлементы грузинских нефтей]. — В кн.: Сергиенко С. Р., Тайманова Б. А. и Талалаева Е. И. Высокомолекулярные неуглеводородные соединения нефти. М., Наука, 1979, с. 67.

1980

304. [ლ.მელიქაძის მოღვაწეობა საქ. სსრ მეცნ. აკად. პ.მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში, კვლევების შედეგები და დანერგვა]. - წგ-ში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ.მელიქიშვილის

სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის 50 წლისთავი. თბ.,
მეცნიერება, 1980, გვ. 16, 25—31, 69, 78, 88—91, 120, 121, 122.

[Деятельность Л. Д. Меликадзе в Институте физической и органической химии им.
П. Г. Меликишвили АН ГССР, результаты исследований и их внедрение]. — В кн.:
50 лет Института физической и органической химии им. П. Г. Меликишвили АН
Грузинской ССР. Тб., Мецниереба, 1980, с. 16, 25—31, 69, 78, 88—91, 120, 121,
122.

305. Шульц С. Г. Масло экономит бензин. [Сообщается о новом трансмиссионном
масле разработанном под руководством Л. Д. Меликадзе]. — Известия, 1980, 22
мая, с. 1.

1981

306. [Результаты исследований Л. Д. Меликадзе и их внедрение в народное хозяйство].
— В кн.: Академия наук Грузинской ССР, Тб., Мецниереба, 1981, с. 150, 151, 152,
153, 154.
307. [Результаты исследования узких ароматических фракции нефти]. — В кн.:
Алексеева Т. А., Теплицкая Т. А. Спектрофлуориметрические методы анализа
ароматических углеводородов в природных и техногенных средах. Л.,
Гидрометеиздат, 1981, с. 18, 89.

მოგონებები ლ. მელიქაძეს

გიორგი ციციშვილი



ლეონიდე მელიქაძეს პირველად შევხვდი 1941 წლის მაისში, როდესაც დავიწყე მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში. შემდგომში ჩვენს შორის დამყარდა ძალიან კარგი ურთიერთობა, რომელიც განსაკუთრებით მაშინ გაძლიერდა, როდესაც 1947 წელს მე დამნიშნეს ინსტიტუტის დირექტორად და ბატონი ლეონიდე - დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში.

ჩვენი მუშაობის დასაწყისშივე ჩატარდა ინსტიტუტის სამეცნიერო მიმართულებების და მუშაობის დახვეწა. ბატონი ლეონიდე თავის მეცნიერულ-ადმინისტრაციულ მოღვაწეობასთან ერთად ახორციელებდა ნავთობის ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელობას.

ბატონი ლეონიდე მელიქაძის ენერგიული და შემოქმედებითი მუშაობის შედეგად სულ მალე მისი ლაბორატორია საქართველოს ნავთობების ქიმიური ბუნების და, განსაკუთრებით კი,

ნავთობის მაღალმდულარე ფრაქციების კვლევის დარგში მოწინავე სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა.

ფართოდაა ცნობილი ბატონი ლეონიდეს და მისი სკოლის გამოკვლევები ლუმინესცენციის მქონე ნახშირწყალბადების თვისებების და გამოყენების შესახებ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ლეონიდეს და მის თანამშრომლებს მონოგრაფიისათვის “ნავთობის ფლუორესცირებადი ნაერთების ბუნების შეცნობისათვის” მიენიჭათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პირველი პრემია.

ხსენებული მიმართულებით წარმოებული დიდი მუშაობის საფუძველზე შეიქმნა მეტად ეფექტური ლუმინესცენტური დეფექტორი ე.წ. “ნორიოლი”, რომელმაც თავისი უნიკალური თვისებების გამო ყოფილი საბჭოთა კავშირის სამრეწველო პრაქტიკაში ფართო გამოყენება პპოვა.

ბატონ ლეონიდეს კვლევების შედეგმა ნავთობის ქიმიისა და ტექნოლოგიის დარგში მაღალი შეფასება მიიღო და რესპუბლიკის მთავრობამ სპეციალური სახსრები გამოყო. ეს მატერიალური საშუალებები დაბა ლილოს ექსპერიმენტული ბაზის დაპროექტებას, მშენებლობას და საჭირო აპარატურით აღჭურვას მოხმარდა. ბატონი ლეონიდეს მიერ შექმნილმა ლილოს ექსპერიმენტულმა ბაზამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამუშაოების შედეგების დანერგვაში და განვითარებაში.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ბ-ნ ლეონოდეს შემოქმედებითი კავშირი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასთან და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან. მეტად მნიშვნელოვანი ერთობლივი სამუშაოების ჩატარების შედეგად შემუშავებულია და პრაქტიკაში დანერგილი მაღალაქტიური ქიმიური პრეპარატები ПЛК, КРХ, КЕИМ ლაფანჭამიისა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი წიწვოვანი ტყეებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეფექტურ დაცვას.

ლეონიდე მელიქაძემ თავის მუშაობაში დიდი ენერგია და დრო დაუთმო საქართველოს ნავთობების ქიმიური ბუნების და ტექნოლოგიური თვისებების დახასიათებას და მნიშვნელოვან

პრობლემას, რომელიც საქართველოს მცირედებეტიან ნავთობების რაციონალურ ათვისებას ემსახურება. ამ მიმართულებით მუშაობის განვითარება და ბ-ნ ლეონიდეს შრომების შედეგებისა და მოსაზრებების გამოყენება დღეს ძალიან მნიშვნელოვანია თავისუფალი საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისათვის. იმედია, რომ ამ საჭირო საქმეს მისი მოწაფეები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ლეონიდე იყო ჩვენი ქართული ქიმიური მეცნიერების და მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოამაგე, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, კალმობდილი მამულიშვილი. მას განსაკუთრებით დიდი დამსახურება აქვს ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის მუშაობის სრულყოფაში და განვითარებაში. ამასთან ერთად, იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების, საქართველოს ქიმიური საზოგადოების, სამეცნიერო საბჭოების, ქიმიური ჟურნალის და მრავალი სხვა ორგანიზაციის მუშაობაში.

ბ-ნ ლეონიდეს ცხოვრება და მოღვაწეობა შესანიშნავი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. იგი იყო თავმდაბალი, შრომისმოყვარე, გულითადი, საქმისთვის ერთგული, დიდი პასუხისმგებლობის მქონე და მაღალი ერუდიციით დაჯილდოებული პიროვნება.

ბ-ნი ლეონიდე გაიზარდა შესანიშნავ ქართულ ოჯახში, თვითონ იყო ძალიან კარგი მეოჯახე, საყვარელი მამა და ბაბუა, კეთილი მეგობარი და თბილი ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა ყოველთვის დარჩება უახლოესი ნათესავების, ახლობლების და მოწაფეების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი,
გიორგი ციციშვილი

აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე (მოგონება)


ჩემი სტუდენტობის პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ხშირად ვხვდავდი ბატონ ლეონიდეს მელიქაძეს, რომელიც, როგორც მაშინ თქვენს, ამოწმებდა ქიმიის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს. მას ახასიათებდნენ როგორც ობიექტურ და ავტორიტეტულ მეცნიერს, რომლის აზრსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

შემდგომ ჩვენი ურთიერთობა გაღრმავდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებაში, რომელშიც მე ამირჩიეს წევრ-კორესპონდენტად.

მაგონდება განყოფილების სხდომაზე სამეცნიერო მოხსენებისა და განყოფილების წევრების წლიური ანგარიშის მოხმენისას მისი კრიტიკული შენიშვნები ამა თუ იმ საკითხების გარშემო. მისი გამოსვლები ყოველთვის იმსახურებდა ჩემს ყურადღებას და დამამახსოვრდა ჩემი ცხოვრების მანძილზე.

უესურვებ მისი ოჯახის წევრებს, მრავალრიცხოვან მოწაფეებს, კოლეგებს შემდგომ წარმატებებს მუშაობასა და ცხოვრებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოს-მდივანი,
აკადემიკოსი გივი ცინცაძე



თვალსაჩინო მეცნიერის პრინციპული თანადგომა



გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მეცნიერ-ქიმიკოს კორიფეების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე ბრძანდებოდა, რომელსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ორგანული ქიმიის მთელი რიგი დარგების მეცნიერული კვლევისა და წარმოების დაფუძნებასა და განვითარებაში.

აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე სრულიად თავისებურად იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი.ჭუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიის ინსტიტუტის მოღვაწეობასთან. იგი ჩვენი თითქმის მუდმივი ოპონენტი იყო. მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოყოფილი გეგმიური თუ საგანგებო კომისიების, ზემდგომ ორგანოებში შეტანილი სხვადასხვა ხასიათის წერილების შემსწავლელი კომისიის წევრი თუ თავმჯდომარე ბრძანდებოდა.

ბატონი ლეონიდე მთელი პრინციპულობით, დიდი სიმკაცრით, სიღრმისეულად სწავლობდა ცალკეულ საკითხთან დაკავშირებულ თითოეულ დეტალს. ყოველ მათგანზე სარწმუნო განმარტებას და დოკუმენტაციას მოითხოვდა, არაფერს გვაპატიობდა. მაგრამ რაოდენ სიამოვნებად სათანადოდ არგუმენტირებული დადებითი მასალის მოპოვება, თუმცა ამას აშკარად არ გამოხატავდა. შედეგად ყოველმხრივ გაანალიზებულ, დამაჯერებლად დასაბუთებულ, ობიექტურ და შეუვალ დასკვნას შეადგენდა. კომისიის შედეგების მიხედვით ფარმაცოქიის ინსტიტუტის მოღვაწეობა დადებით შეფასებას იმსახურებდა.

ბატონი ლეონიდე ამ საქმიანობისთვის არ იშურებდა თავის დროს და ენერგიას. განსაკუთრებული გულისყურით ეცნობოდა ჩვენს სამეცნიერო-ორგანიზაციულ საქმიანობას, ცალკეული ლაბორატორიის მეცნიერულ კვლევებს. გაოცებას იწვევდა მისი მყისიერი მეცნიერული ალლო; შესანიშნავად გრძნობდა ჩვენი მუშაობის აკვარგს. გვაძლევდა სასარგებლო რჩევებს, რასაც დიდი მადლიერებით ვითვალისწინებდით, ხოლო საინტერესო შედეგების მისიერი დადასტურება გვაძმნევენდა და გვახალისებდა.

აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე ფარმაცოქიის ინსტიტუტის დიდი იმედი და ქომაგი ბრძანდებოდა. უდიდესი პატივისცემით გულითადი მადლობა მას ყოველივე ამისათვის.

თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქმისადმი თავდადებული, პრინციპული, არაორდინალური პიროვნება, კაცთმოყვარე, ერთგული კოლეგა და მეგობარი – ასეთი დარჩა აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე ჩვენს მეხსიერებაში.

სამარადისო ადგილი დაიმკვიდრა აკადემიკოს ლეონიდე მელიქაძის საქმემ, სახელმა საზოგადოებაში და მეცნიერების ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
ეთერ ქემერთელიძე

ბატონი ლეონიდე მელიქაძე

მიმდინარე 2012 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება აღნიშნავს ცნობილი ქიმიკოსის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლეონიდე მელიქაძის დაბადებიდან 100 წლისთავს.

ლეონიდე მელიქაძე მიეკუთვნება იმ ქართველ ქიმიკოსთა რიცხვს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში ქიმიური მეცნიერების განვითარების საქმეში.

ბატონმა ლეონიდემ უმაღლესი განათლება მიიღო ნავთობის ტექნოლოგიის განხრით საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ბატონი ლეონიდე იყო იმ ქიმიკოსთა შორის, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში სისტემატურ კვლევებს ნავთობის ქიმიისა და ტექნოლოგიის მიმართულებით.

ბატონმა ლეონიდემ ნავთობის ლაბორატორიაში თავი მოუყარა ნიჭიერ ახალგაზრდობას და მათთან თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად შეიქმნა ძლიერი სამეცნიერო სკოლა. ამ ლაბორატორიაში იქნა შესწავლილი საქართველოს ნავთობები.

მისი იდეა -- საქართველოს ნავთობების გამოყენება სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მცირეტონაჟიანი პროდუქტების წარმოებისათვის, საფუძვლად დაედო ინსტიტუტის ნავთობის ლაბორატორიის შემდგომ გამოკვლევებს. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით სინთეზირებული იყო ნავთობის ნახშირწყალბადების მოდელური ნართები და შესაბამისად შექმნილი იყო ინდივიდუალური არომატული ნახშირწყალბადების კოლექცია, რომელიც გამოცემული იყო 1981 წელს ცნობარის სახით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა ნავთობის მაღალმოლეკულური ფრაქციების შესწავლას. მან აჩვენა, რომ მაღალმოლეკულური კონდენსირებული არომატული ნახშირწყალბადები განაპირობებენ ნავთობის ლუმინესცენციის უნარს.

ბატონი ლეონიდეს მიერ თანამშრომლებთან ერთად შესრულებული და გამოქვეყნებულია მრავალი ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 20-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. არის მრავალი გამოგონების ავტორი. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მანქანათა ნაწილების დეფექტოსკოპიისათვის მის მიერ მოწოდებული ლუმინოფორი „ნორიოლი“, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა. მისი შრომებიდან 11 დანერგილია სახალხო მეურნეობაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონ ლეონიდეს ორგანიზაციული ნიჭი. მრავალი წლის განმავლობაში იგი იყო პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიას.

ბატონი ლეონიდე იყო მრავალი დაცვისა და საპრობლემო საბჭოს, ჟურნალ „მაცნეს (ქიმიის სერია) რედაქციისა და სხვადასხვა კომისიის წევრი.

მიღებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიები, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედალი, დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე ახალგაზრდების მიმართ იყო უაღრესად გულისხმიერი. მე ხშირად ვთხოვდი მას სამეცნიერო სტატიის წარდგენას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“. მიუხედავად დიდი ასაკობრივი განსხვავებისა და დროის დეფიციტისა ის ყოველთვის ახერხებდა გამოეხატა ჩემს მიმართ დიდი სითბო და კეთილგანწყობა.

აკადემიკოს ლეონიდე მელიქაძის ხსოვნა მუდამ დარჩება ყველა თაობის ქიმიკოსებში.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ორგანული ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი - შოთა სამსონია

თვალსაჩინო მეცნიერი, ინჟინერი, ტექნოლოგი



აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე, ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილს, მისი აქტიური საქმიანობა ხელს უწყობდა ინსტიტუტის წამყვან პოზიციას მეცნიერების განვითარებაში, ასევე ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინსვლაში.

1964 წელს, ინსტიტუტში ახლად მოსული ვიყავი, როდესაც დამჭირდა საწყობიდან რეაქტივების გამოტანის მოთხოვნაზე ღირებულების მოადგილის ხელმოწერა და ვიკითხე: სად არის მისი კაბინეტი? დასახელებულ ადგილზე დამხვდა გადატიხრული დერეფანი, სადაც წიგნებში და ქაღალდებში ჩაფლულ მცირე მაგიდასთან იჯდა ლეონიდე მელიქაძე. შევედი თუ არა, ატეხა ყვირილი – როგორ ბედავ

ჩემს შეწუხებას, ახლა მე არა მაქვს მიღება. საჩქაროდ გამოვბრუნდი, მე არ ვიცოდი მისი დღის განრიგის დეტალები და ერთი კვირა აღარ შევსულვარ. ეტყობა, ჩემი ლაბორატორიის გამგემ, ქრისტეფორე არეშიძემ უთხრა ჩემს შესახებ და მერე აღარ ყოფილა რაიმე ხარვეზი ჩვენს ურთიერთობაში.

აკადემიკოსი ლეონიდე მელიქაძე, ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პეტრე მელიქიშვილის ინსტიტუტს. შემდგომ ინსტიტუტიდან წავედი ქ. მოსკოვში, ნ. ზელინსკის სახელობის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში და იქვე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. როგორც კი დავბრუნდი თბილისში, ბატონი ლეონიდეს მხარდაჭერით მე დამნიშნეს ინსტიტუტის სწავლულ მდივნად ქალბატონ ქეთევან ავალიანის გარდაცვალების შემდეგ და ამ პერიოდიდან ბატონ ლეონიდესთან დამყარდა ყოველდღიური მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა. დროთა განმავლობაში გავეცანი მის სამეცნიერო საქმიანობას: ბატონი ლეონიდე უდაოდ იყო ქართული ნავთობქიმიური სკოლის ლიდერი და იდეების გენერატორი. მის ლაბორატორიაში ყოველთვის ნახავდით სიახლეებს, განსაკუთრებით გულმოდგინედ მუშაობდა ნავთობის მაღალმოლეკულურ ნაწილში, რაც ძალზე რთული საქმეა. აქაც მან შესძლო თავისი სიტყვის თქმა, დამუშავდა ახალი მეთოდები და პრეპარატები. ბატონი ლეონიდე მაღალი დონის ინჟინერ-ტექნოლოგი იყო, რომელმაც განახორციელა მცირეტონაჟიანი ეფექტური პრეპარატების შემუშავება, წარმოების ორგანიზება და მათი პრაქტიკაში გამოყენება საკავშირო მასშტაბით.

უაღრესად კეთილი და დამხმარე იყო, იცოდა თანამშრომელთა მხარდაჭერა და ზრუნვა. არაერთხელ უთქვამს: „მე რაც დავისახე მეცნიერებაში, ყველაფერს მივაღწიე“.

ბატონი ლეონიდე ძალზე შრომისმოყვარე იყო, არ არსებობდა მისთვის რაიმე ზისტი განრიგი, როცა საჭირო იყო ინსტიტუტში რჩებოდა გვიან ღამემდე, შაბათ-კვირას და ზოგჯერ უქმე დღეებშიც. ეხლაც თვალწინ მიდგას თავის განუყრელ „მოსკვიჩი“ – ს საჭესთან. კარგი მოლხენაც იცოდა, უყვარდა სადღესასწაულო დღეებში თანამშრომლებთან ერთად სუფრასთან ყოფნა, ტორტების გამოცხობაში და დეგუსტაციაში შეჯიბრი-კონკურსი, მხიარული და ენაკვიმატი საუბარი.

ჩემს მესხიერებაში ბატონი ლეონიდე დარჩა, როგორც დიდი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მეცნიერ-ტექნოლოგი, რომელმაც ბევრი გააკეთა ქვეყნისათვის და ბევრიც დარჩა გასაკეთებელი უდროოდ გარდაცვალების გამო.

ბატონი ლეონიდეს დაუღალავი საქმიანობა მეცნიერებასა და ქვეყნის სასიკეთოდ მისაბადი მაგალითია თითოეული ჩვენთაგანისათვის და მომავალი თაობებისათვის.

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
პროფესორი ავთანდილ დოლიძე

ბატონი ლეონიდე მელიქაძე – დაუვიწყარი სახელი!

ბატონ ლეონიდე ვიცნობდი 1957 წლიდან, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მოვედი პეტრე მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში. მას შემდეგ, რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში მიხდებოდა მასთან ახლოს ყოფნა. ეს კონტაქტი გაგრძელდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

ბატონი ლეონიდე უაღრესად შინაარსიანი და საინტერესო ცხოვრება და შრომითი მოღვაწეობა აღსავსე იყო ინსტიტუტის საერთო კეთილდღეობისადმი, მისი ავტორიტეტის განმტკიცებისადმი, სამეცნიერო მოღვაწეობისადმი და ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი განუხრელი ზრუნვით.

ბატონი ლეონიდე ითვლებოდა საქართველოში ნავთობის დარგში მომუშავე უაღრესად ავტორიტეტულ მეცნიერად. ამ რთული და საჭირო დარგის განვითარებაში საქართველოში მან დაუფასებელი წვლილი შეიტანა. ასევე ღიძია მისი დამსახურება ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცული იყო მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ის მხარე, რომელიც ეხება ინსტიტუტის ღირებულების მოადგილის თანამდებობაზე მის მუშაობას. იგი იყო უაღრესად პრინციპული, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, დაუღალავი და თავისი საქმისადმი უზომოდ შეყვარებული, უაღრესად მაღალი დონის პროფესიონალი. თავისი საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევებით ცნობილი იყო არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო წრეებში, არამედ საზღვარგარეთაც. ერთი სიტყვით, იყო ცნობილი აკადემიკოსი. იგი შედიოდა საბჭოთა კავშირში ამ დარგში მომუშავე ყველაზე ცნობილი მეცნიერების საუკეთესო ათეულში. არასოდეს იყენებდა კუთვნილ შიშვლებს და მთელ დროს ინსტიტუტში ატარებდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში ინსტიტუტი გამოირჩეოდა სანიმუშო დისციპლინით. ყველა რგოლი მუშაობდა გამართულად, სახელოსნოებიდან დაწყებული, ლაბორატორიებითა და სამეცნიერო საბჭოთი დამთავრებული. სამეცნიერო საბჭოს სხდომები ტარდებოდა საქმიანად. ბატონი ლეონიდე იყო უაღრესად მომთხოვნი, მაგრამ არც ქებას იშურებდა, რათა წახალისებინა თანამშრომლები, სტიმული მიეცა მათთვის მუშაობაში. იყო უაღრესად ერუდირებული. ნებისმიერ საკითხზე ჰქონდა თავისი შეხედულება და როგორც წესი, მისი აზრი ყოველთვის სწორი აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ინსტიტუტის ლაბორატორიების წლიური ანგარიშების მოსმენა ყოველთვის ტარდებოდა მაღალ მეცნიერულ დონეზე. ლაბორატორიები ამ დღისათვის განსაკუთრებული პესუხისმგებლობით და მონდომებით ემზადებოდნენ. ლაბორატორიების წლიური საანგარიშო მოხსენებების მოსმენა ხდებოდა საჯარო სხდომებზე და ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს ვინმე სადოქტორო დისერტაციას იცავდა. იყო მკაცრი კრიტიკა, აზრთა ჭიდილი, ობიექტური შეფასებები და ამაში ინსტიტუტის მთელი კოლექტივი იღებდა აქტიურ მონაწილეობას.

მახსენდება ერთი ეპიზოდი. საქართველოს ტყეებს შეესია მავნებელი – ლაფნიჭამია და სრულ განადგურებას უქადა. ბატონი ლეონიდე, რომელიც ყოველთვის ახლის ძიებაში იყო და პირველი ეხმაურებოდა ქვეყნის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, დაინტერესდა ამ საქმით და ლაბორატორიაში მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა რამოდენიმე ეფექტური პრეპარატი.

მახსოვს, ლაფნიჭამიასთან ბრძოლისათვის საჭირო ღონისძიებების გასატარებლად, მისი ხელმძღვანელობით შექმნილი პრეპარატების პრაქტიკაში გამოსაყენებლად მოუხდა მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრა. ამ შეხვედრაზე მეც თან ვახლდი. იგი ორი საათის განმავლობაში დეტალურად აცნობდა მთავრობის თავმჯდომარეს საქმის ვითარებას და მის მიერ შექმნილი პრეპარატების მოქმედების მექანიზმს. ამ საუბრით მთავრობის თავმჯდომარე ფრიად კმაყოფილი დარჩა და მინისტრთა საბჭომ სათანადო დადგენილებაც გამოიტანა. პრეპარატები ფართოდ გამოიყენა და ბორჯომის ხეობის ტყეები განადგურებას გადაურჩა.

სწორი რომ გითხრათ, ასეთი უშრეტო ენერგიის მქონე, დაუღალავი და შრომისმოყვარე, ერთგული, ნოვატორი, უმაღლესი დონის ადმინისტრატორი მე არასოდეს შემხვედრია. ინსტიტუტს გაუმართლა, რომ ათეული წლების განმავლობაში ბატონ გიორგი ციციშვილთან ერთად, მას ხელმძღვანელობდა ასეთი საინტერესო და უანგარო პიროვნება.

ინსტიტუტის კოლექტივი დღესაც სიყვარულით და უდიდესი პატივისცემით, ამავე დროს სინანულით, რომ ჩვენს რიგებში აღარაა, იხსენებს იმ ღირსსახსივარ წლებს, როდესაც მუშაობა გვიხდებოდა ბატონი ლეონიდეს ხელმძღვანელობით. მისი სახელი ინსტიტუტის ისტორიაში არასოდეს წაიშლება და მუდამ დარჩება ხელმძღვანელის ეტალონად, რომელსაც უნდა მიბადონ მომდევნო თაობებმა.



ინსტიტუტის მაღალმოღვაწეულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორიის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი პაპავა

**ბრძენი მოძღვარი
(ეძღვნება აკადემიკოს ლეონიდე მელიქაძეს)**

ზოგიერთისთვის ყოფის წისქვილს ბედი აბრუნებს,
ზოგიერთი კი თვით მიიკვლევს გზას ძნელს, ეკლიანს,
ვინ რა იღვაწა და რა კვალი დატოვა ქვეყნად,
კაცის სახელი სწორედ მისი ანარეკლია;

სახელი რჩება სულთან ერთად, სხვა არაფერი,
სხვა რამ ქონება ამ ქვეყნიდან ვის წაუღია?!
და ამიტომაც ის კაცია სახელოვანი,
რუსთაველივით რაც ჰქონია, რომ გაუღია...

ღმერთის და ხალხის მსახურია ასეთი კაცი –
სიკეთის ქმნაა კრედი მისი ყოფნა-არ ყოფნის,
და ეს სიკეთე თუ კი სხვაშიც აღმოაცენა,
სხვა რამ არ უნდა, სულის საზრდოდ ესეცა ჰყოფნის.

ასეთი კაცის ყოფის ჟინი გადამდებია,
მას სულ ბოლომდე შეუძლია საქმის გატანა
და თუ აჰყევია, თვით ირწმუნებ, რომ სინათლის გზას
ველარ აგაცდენს ვერც შური და ვეღარც სატანა...

ასეთი მრწამსის იყო ჩემი მასწავლებელი,
თუმცა ზომიერად სუსხიანი და თავმოყვარეც,
ღვთიურ ნაპერწკალს ეძიებდა ყველას თვალებში
და ნიჭის ცეცხლად აანთებდა ცოდნის მოყვარე.

იდეალური არავინ არ ყოფილა ქვეყნად,
ასეთი რამე მხოლოდ ქრისტე-ღმერთის ზვედრია,
მაგრამ თუ საქმე შეეხება პატიოსნებას,
ამ კაცის მსგავსი ბევრი მართლა არ შემხვედრია.

ნათელი იყო, როგორც ყველა ბრძენი მოძღვარი,
რომ აგანთებს და განგიმტკიცებს სულის მხნეობას,
შრომის და ცოდნის დიად ძალას რომ ჩაგინერგავს
და საბუდამოდ გაზიარებს მაღალ ზნეობას.

ზღვა ენერგიას, მომადლებულს აფრქვევდა იგი,
მუდამ და ყველგან... ახალგაზრდაც, მერე – ხნეირიც,
ქედის და მუხლის მოუხრელად განვლო სიცოცხლე
და ჩემში დარჩა უძლეველი კაცის იერით...

ილიას მრწამსის იყო ჩემი მასწავლებელი,
კაცი კაცური, უდრეკელი მუდამ და ყველგან,
მეფე ღირვით გაიღებდა თავად ყველაფერს
და ცოდნის გარდა არ ითხოვდა არაფერს შენგან...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ სახე ჩემი მოძღვარის –
სიბრძნის, სიკეთის არის მუდამ გამომსახველი,
ჩემს არსებაში უძვირფასეს მშობელთან ერთად,
უკვდავი არის მადლიანი მისი სახელი.

მარად მადლიერი მოწაფე – ჯუმბერ იოსებიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა წვის ძრავების კათედრის გამგე, პროფესორი

მოგონება ეძღვნება ჩემს პედაგოგსა და აღმზრდელს ბატონ ლეონიდე მელიქაძეს

შესრულდა ცნობილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში ნავთობქიმიის მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ლეონიდე დავითის ძე მელიქაძის დაბადებიდან 100 წელი.

ლეონიდე მელიქაძემ ერთ-ერთმა პირველმა წამოიწყო საქართველოს ნავთობის ქიმიისა და ტექნოლოგიის დარგში სისტემური კვლევები, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს ნავთობების პასპორტიზაციას. ლ. მელიქაძის მიერ ჩამოყალიბდა ნავთობქიმიკოსთა ძლიერი სამეცნიერო სკოლა. მისი ლაბორატორია საქართველოს ნავთობების ქიმიური ბუნების და, განსაკუთრებით კი, ნავთობის მაღალმდულარე ფრაქციების კვლევის დარგში მოწინავე სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა.

ლეონიდე მელიქაძემ თავის მუშაობაში დიდი ენერგია და დრო დაუთმო საქართველოს ნავთობების ქიმიური ბუნების და ტექნოლოგიური თვისებების დახასიათებას, მცირედებიტანი ნავთობების რაციონალური გამოყენების მნიშვნელოვან პრობლემებს, რაც დადებითად აისახებოდა როგორც ნავთობების მარაგებზე, ისე რესპუბლიკის ეკონომიკაზე. საქართველოს ნავთობების გამოყენება სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მცირეტონაჟიანი პროდუქტების წარმოებისათვის საფუძვლად დაედო ნავთობის ქიმიის ლაბორატორიის შემდგომ კვლევებს. მისი ხელმძღვანელობით იქნა სინთეზირებული ნავთობის მაღალმდულარე არომატული და პეტროარომატული ნაერთების მოდელური ნახშირწყალბადების ფართო კოლექცია, რომელიც ცნობარის სახით მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1981 წელს იქნა გამოცემული. მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მიემდგვნა ნავთობის მაღალმოლეკულური ფრაქციების შესწავლას. მან აჩვენა, რომ მაღალმოლეკულური კონდენსირებული არომატული ნახშირწყალბადები განაპირობებენ ნავთობის ლუმიენესცენციის უნარს.

ფართოდაა ცნობილი ბატონი ლეონიდეს და მისი სკოლის გამოკვლევები ლუმიენესცენციის მქონე ნახშირწყალბადების თვისებების და გამოყენების შესახებ. მან აჩვენა, რომ ნავთობის ლუმიენესცენცია გაპირობებულია პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადებით. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ლეონიდეს და მის თანამშრომლებს მონოგრაფიისათვის “ნავთობის ფლუორესცირებადი ნაერთების ბუნების შეცნობისათვის” მიენიჭათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პირველი პრემია.

ხსენებული მიმართულებით წარმოებული სამუშაოების საფუძველზე შეიქმნა მეტად ეფექტური ლუმინოფორი ე.წ. “ნორილი”, მიღების ტექნოლოგიური პროცესი, დამტკიცდა ტექნოლოგიური რეგლამენტი და ტექნიკური პირობები. ამ პროდუქტმა თავისი უნიკალური თვისებების გამო ყოფილი საბჭოთა კავშირის სამრეწველო პრაქტიკაში ფართო გამოყენება ჰპოვა მანქანათა ნაწილების დეფერეტოსკოპიაში.

ლ. მელიქაძის ხელმძღვანელობით შემუშავებული იყო ნავთობიდან ფენანტრენული ნახშირწყალბადების კონცენტრატების და ნავთობიდან და ნავთობპროდუქტებიდან მიკროელემენტების გამოყოფის ფოტოქიმიური მეთოდი. უკანასკნელმა ფართო გამოყენება ჰპოვა საბჭოთა კავშირის გეოლოგიის, საწვავნამარხთა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ინსტიტუტებში.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ბ-ნ ლეონიდეს შემოქმედებითი კავშირი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასთან და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან. შემუშავებული და დანერგილია მაღალაქტიური ქიმიური პრეპარატები “პლპ” (ნაძვის დიდი ლაფანჭამიების წინააღმდეგ), “პრს” (ყურძნის ჭიისა და ტყის ზოგიერთი მავნებლების წინააღმდეგ), “პმმმ” (ციტრუსების მავნებლების წინააღმდეგ), რამაც ხელი შეუწყო ჩვენი წიწვოვანი ტყეებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეფექტურ დაცვას.

ზოოვეტინსტიტუტის ერთად შემუშავებული და დანერგილია კომბინირებული საკვების მაღალკალორიული ეფექტური დანამატი. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ავტომობილების ძრავის კათედრასთან ერთად მაღალდისპერსული ნახშირბადის საფუძველზე შექმნილია საუკეთესო ანტიფორიქციული და ტრიბომექანიკური თვისებების მქონე სატრანსმისიო ზეთები.

ბ-ნ ლეონიდეს შრომების შედეგებისა და მოსაზრებების გამოყენება დღესაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის.

ბატონი ლეონიდე იყო საქართველოში ქიმიური მეცნიერების და მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოამაგე, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

თავმდაბალი, შრომისმოყვარე, გულითადი, პრინციპული, განსაკუთრებული მეცნიერული ალღოს მქონე, მკაცრი, მაგრამ ამავე დროს საოცრად ახლობელი და ერთგული, - ასეთად დარჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში.



პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული
ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის
ლაბორატორიის გამგე, ნათელა ხეცურიანი

მოგონება



ბ-ნი ლეონიდე 1953 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობისას გავიცანი. უნივერსიტეტში მე-5 კურსზე დიპლომზე ვმუშაობდი, როდესაც ბ-ნი ლეონიდე ლაბორანტი დეკრეტულ შვებულებაში გავიდა და მეცნიერმა ამავე ინსტიტუტის თანამშრომელს მარიამ არეშიძეს (ჩვენ ერთად ვმუშაობდით დიპლომზე) სთხოვა მისთვის შემცვლელი მოეძებნა. ქ-მა მარიამმა რეკომენდაცია გამიწია. ასე მოვხვდი ქიმიის კვლევით ინსტიტუტში, სადაც ბ-ნი ლეონიდე ნავთობის ქიმიის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა.

ბ-ნი ლეონიდე დამოუკიდებელი პიროვნება იყო და გაკვალილი გზით სიარული არ უყვარდა. ალბათ, ამიტომაც კვლევის ობიექტად ნავთობის რთული და ნაკლებშესწავლილი უბანი - მაღალმდულარე ნახშირწყალბადები შეარჩია. დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობდით, თანამშრომელთა რიცხვიც თანდათან გაიზარდა, ბ-ნი ლეონიდეც სულ მხარში გვედგა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა მომქანცველი მუშაობის შემდეგ, გვიან საღამოს, ბ-ნი ლეონიდეც თანამშრომლები თავისი მანქანით სახლებში ჩამოურიგებია.

ბ-ნი ლეონიდეც ერთ-ერთი გამორჩეული თვისება მისი „სიტყვისკაცობა“ იყო. იგი სიტყვას ჰაი ჰარად არასოდეს ისროდა, პირობას ყოველთვის ასრულებდა და სხვებისგანაც ამავეს მოითხოვდა.

ბევრ ადამიანურ ღირსებათა შორის, რომელიც ბ-ნი ლეონიდეც ახასიათებდა, მინდა საგანგებოდ გამოვეყო გულისხმიერება და მხარში დგომის იშვიათი უნარი. მისი ეს თვისება საკუთარ თავზე „ვიწვნიე“. როდესაც შვილი ავად გამიხდა, მისი მკურნალობისათვის იგი უყოყმანოდ მაგზავნიდა მოსკოვში მივლინებით. ერთ-ერთ ახალგაზრდა თანამშრომელს მაღალი წნევები აწუხებდა. ეს რომ გაიგო ბ-ნმა ლეონიდე, იგი მაშინვე საკუთარი მანქანით თავის ექიმ ქალიშვილთან წაიყვანა გამოსაკვლევად. ასეთი შემთხვევა ბევრი იყო. თანამშრომელთა სასიკეთოდ ბევრჯერ დახმარებია მათ სასარგებლო რჩევებით პირადულ, თუ ოჯახურ ამბებში...

ცნობილია, რომ უნაკლო ადამიანი არ არსებობს და ამ მხრივ არც ბ-ნი ლეონიდე იყო გამონაკლისი. ბუნებით ფიცხი ადვილად ბრაზდებოდა, თუმცა სიბრაზე მაღლევ გადაუვლიდა ხოლმე. უბოროტო ადამიანი იყო და წყენას გულში არ იტოვებდა.

როგორც ნამდვილ მეცნიერს შეეფერება, ბ-ნი ლეონიდეცათვის მეცნიერება ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა და თანამშრომლებისგანაც ასეთივე თავდადებას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობაში მარტივი ადამიანი იყო, მან საკუთარი თავის ფასი კარგად იცოდა და თანამშრომლებთან ურთიერთობაში დისტანციას იცავდა. თუმცა მეცნიერული საკითხების ირგვლივ მსჯელობისას თანამშრომლებს თავისუფლად შეეძლოთ კამათი და საკუთარი აზრის დაცვა.

ბ-ნი ლეონიდეც თანამშრომელთა შერჩევის იშვიათი ნიჭი გააჩნდა. ახალგაზრდა ქიმიკოსებთან ერთად ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ისეთი გამორჩეული პიროვნებები, როგორებიც იყვნენ: ქ-ნი თინა ელიავა - არაჩვეულებრივი ექპერიმენტატორი, მეცნიერი და შესანიშნავი ადამიანი (მისგან ბევრი რამ ვისწავლე, როგორც მეცნიერმა და როგორც ადამიანმა), ბ-ნი გაბრიელ ქიქოძე - ორგანული ქიმიის სპეციალისტი, რომელსაც განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული, ბ-ნი ბორის ზანესი - ინჟინერი (ნავთობგადამუშავების სპეციალისტი), ნიჭიერი ფიზიკოსები: ბ-ნი იოსებ ბაუმბერგი - უამრავი გამოგონების ავტორი და ბ-ნი ალექსანდრე არაბიძე, კონსტანტინე ჭკუასელიძე - ინჟინერი (ჩვენთვის „ცოცხალი ენციკლოპედია“) და ბ-ნი ნიკოლოზ დობრიდინი - ხელოსანი, რომელსაც, მართალია, უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, მაგრამ იშვიათი ინჟინრული ალღო ახასიათებდა.

ასეთი იყო და ასეთი გვახსოვს ბ-ნი ლეონიდე მის თანამშრომლებს - პრინციპული, მეცნიერებისთვის თავდადებული და ამავე დროს უაღრესად ახლობელი, გულისხმიერი და „საქმით კეთილი“ ადამიანი.

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული
ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის
ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
ესმა უშარაული

შობაარსი – СОДЕРЖАНИЕ – CONTENTS

1.	შემდგენელებისაგან	3
2.	От составителей	4
3.	From compilers	5
4.	ლეონიდე მელიქაძე (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა	6
5.	Леонид Давидович Меликадзе (Краткий обзор научной и общественной деятельности)	15
6.	Leonid D. Melikadze (A Short Survey of Scientific and Public Activities)	21
7.	ლეონიდე მელიქაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	28
8.	Основные даты жизни и деятельности Л.Д. Меликадзе	30
9.	Key dates of life and work of L.D. Melikadze	31
10.	ლეონიდე მელიქაძის შრომები Труды Л.Д. Меликадзе	33
11.	ლეონიდე მელიქაძის რედაქციით გამოცემული შრომები Труды, изданные под редакцией Л.Д. Меликадзе	54
12.	ლიტერატურა ლეონიდე მელიქაძეზე Литература о Л.Д. Меликадзе	55
13.	მოგონებები ლეონიდე მელიქაძეზე Воспоминания о Л.Д. Меликадзе	59

